

ცოტა რამ ისტორიიდან

ჯერ კიდევ, 1979 წელს კლიმატისადმი მიძღვნილმა პირველმა მსოფლიო კონფერენციამ კლიმატის ცვლილება სერიოზულ პრობლემად აღიარა. რის შემდგომაც, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩატარდა მთელი რიგი სამთავრობათაშორისო კონფერენციები და შეხვედრები კლიმატის ცვლილების პრობლემებთან დაკავშირებით. 1992 წელს მიღებულ იქნა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წელს და მას იმ დროისთვის ხელი მოაწერა 154 ქვეყანამ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მსოფლიოს ლიდერებმა ერთხმად აღიარეს კლიმატის ცვლილება და დაიწყეს ერთობლივი ღონისძიებების გატარება კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1994 წელს.

რა არის მოსალოდნელი კლიმატის ცვლილების დროს?

- შეიცვლება და გადაგვარდება ეკოსისტემები, უმრავლესობა შეიძლება გაქრეს;
 - შეიცვლება ან გაქრება ცხოველთა და მცენარეთა სახეობების გავრცელების არე;
 - შეიცვლება კონკრეტულ რეგიონისთვის დამახასიათებელი კლიმატი;
 - გახშირდება ბუნებრივი მოვლენები (წყალდიდობები, გვალვა, შტორმი და ქარიშხალი, გახშირდება ტყის ხანძრები);
 - შემცირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე ნიადაგების გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ.
 - აიწევს ზღვის დონე;
 - გართულდება ადამიანის ჯანმრთელობა;
 - გახშირდება ინფექციური (გადამდები) დაავადებები, ალერგიები;
- და ა.შ....

პარიზის შეთანხმება

2015 წლის 30 ნოემბერი - 11 დეკემბერს, კლიმატის კონვენციის მხარეთა კონფერენციის 21-ე სესიაზე (COP 21), კონვენციის ხელმძღვრმა მხარე ქვეყნებმა მიიღეს პარიზის შეთანხმება. მათ შორის იმის თაობაზე, რომ ქვეყნებმა არ უნდა დაუშვან დედამიწაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურის 2°C-ზე მეტით ზრდა წინანდულ ტრიულ დონესთან შედარებით.

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის "სამცხე ჯავახეთის რეგიონში დაბალნახშირბადიანი ენერგორესურსებისადმი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობების გაზრდის მხარდაჭერა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზაზალოს მაგალითზე" ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება "საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო"-ს მიერ, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტს საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა.

ფოტომასალა მოძიებულია:

- GOOGLE.COM ელექტრონული პლატფორმა.
- საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნას მიჩნეული დონორთა მოსაზრებად.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

თბილისი, სლავა მეტრეველის N4. 0112

ტელ: (+995 32) 2 30 62 21
ელ. ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge



კლიმატის ცვლილება და მისი თანმდევი პროცესები

მრავალი წელია, რაც მსოფლიო საზოგადოება აქტიურად საუბრობს გლობალური დათბობით გამოწვეულ კლიმატის ცვლილებაზე. საზოგადოების მხრიდან ხშირად ისმის: ძალიან დათბა... როგორი ცხელი თვე იყო... რატომ გახშირდა ბუნებრივი კატასტროფები... რატომ შემცირდა მოსავლიანობა... გაუარესდა ადამიანის ჯანმრთელობა... და ა.შ.

ყველა ამ პროცესებს ლოგიკურად უკავშირებენ კლიმატის ცვლილებას...

გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილება?

გლობალური კლიმატის ცვლილება - ესაა დედამიწის ან კონკრეტული რეგიონის საშუალო ტემპერატურის ცვლილება და ის გამოწვეულია ატმოსფეროში ზოგიერთი გაზის გადამეტებული კონცენტრაციით...



გლობალური დათბობა - კი დედამიწაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურის თანმიმდევრული ზრდაა, რომლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ატმოსფეროში სათბური გაზების კონცენტრაციის ზრდა. გლობალური დათბობა, ჯერ კიდევ წინა ინდუსტრიული პერიოდიდან (დაახლოებით მე-18 საუკუნიდან) დაიწყო და დღემდე გრძელდება...

სათბურის გაზები - ატმოსფეროში არსებული გაზებია, რომლებიც აბრკოლებენ დედამიწის ზედაპირიდან კოსმოსურ სივრცეში სითბური ენერგიის (სითბოს) გასხივებას (ამ მოვლენას კი "სათბურის ეფექტს" უწოდებენ), რაც უფრო მაღალია "სათბურის გაზების" კონცენტრაცია ატმოსფეროში, მით მეტი სითბო რჩება დედამიწაზე...

მთავარი სათბურის გაზებია ნახშირორჟანგი (**CO2**), მეთანი (**CH4**) და აზოტის ქვეჟანგი (**N2O**). ნახშირორჟანგი გამოიყოფა წიაღისეული საწვავის (ნახშირი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი გაზი და სხვა) წვისას, ასევე ტექნოლოგიურ პროცესებში ქიმიური რეაქციების შედეგად. მეთანის მნიშვნელოვანი წყაროა ასევე ნავთობისა და ბუნებრივი გაზის წარმოება, ტრანსპორტირება და ა.შ.

ცვლილების გამომწვევი მიზეზები:

კაცობრიობის ისტორიაში გლობალური კლიმატის ცვლილებების სხვადასხვა პერიოდი გამოიყოფა, თანამედროვე კლიმატის ცვლილებას პირდაპირ უკავშირებენ ადამიანის საწარმოო საქმიანობას და ინდუსტრიალიზაციას.

ბუნების მიმართ გაუაზრებელმა მომხმარებელმა დამოკიდებულებამ კი შეუქცევადი პროცესები გამოიწვია. ამიტომ, საჭირო გახდა დროული რეაგირება და მიმდინარე პროცესების შერბილება.

მიმდინარე კლიმატის ცვლილება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მსოფლიოში საშუალო წლიური ტემპერატურა მკვეთრად გაიზარდა, გახშირდა სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ...

როგორ დავძლიოთ კლიმატის ცვლილება?

დადასტურებულია რომ, კლიმატის ცვლილება მიმდინარე პროცესია, საჭიროა მისი შერბილებისა და მასთან შეგუების (საადაპტაციო) ღონისძიებების გატარება.

საქართველომ, სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთებით (გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, პარიზის შეთანხმება და ა.შ.), აიღო ვალდებულება რომ, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც შეზღუდავდა სათბურის გაზების ემისიას.

კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესში ერთერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრია ტყეს. ცნობილია, რომ 13ა ფართობზე გაშენებული ტყე წელიწადში საშუალოდ შთანთქავს 15-25 ტ. CO₂-ს. გარდა ტყისა, სათბური გაზები შეიძლება შევამციროთ. თუ: წიაღისეულ საწვავს გარდავქმნით სასარგებლო ენერგიად; დავნერგავთ ახალ ტექნოლოგიებს და გავზრდით ენერგოეფექტურობას; გამოვიყენებთ დაბალი შემცველობის მქონე წიაღისეულ საწვავს;

პრიორიტეტად უნდა ჩავთვალოთ ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების განვითარება და ენერგიის მიღება ეკოლოგიურად სუფთა განახლებადი წყაროებიდან, როგორცაა მზე, ქარი, გეოთერმული, ბიომასა და ა.შ.

ბიომასას მიეკუთვნება ბიოგაზი, ის გაზისებრი (აირადი) პროდუქტია რომელიც წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებების ფერმენტაციის შედეგად და ცნობილია, როგორც გარემოსადაში მეგობრული ენერგიის წყარო. იგი საშუალებას იძლევა შევამციროთ მეთანის გაფრქვევა, რომელიც გავლენას ახდენს სათბურის ეფექტზე.

ბიოგაზის წვის შედეგად ატმოსფეროში გაიტყორცნება ნახშირორჟანგი, რომელიც თითქმის 21-23 ჯერ ნაკლებად ზემოქმედებს გარემოზე, ვიდრე მეთანი. ამიტომაც მეთანის ჩაჭერა საუკეთესო ხერხია გლობალური დათბობის შესამცირებლად და ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას.

